საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1936 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№27 (6573) 8 ივლისი 1993 წელი ხუთშაბათი

## მამულის სიყვარულში დავიხარჯოთ

ცუდი ამბები მოდის სოხუმიდან. მტერი დასცინის ჩვენს მოწოდებას, როგორც მშვიდობიანი გზით მოვაგვაროთ ეს ძმათამკვლელი კონფლიქტი. იერიში შეტევას მოსდევს. დაუღალავად იბომბება ზღვის პატარძალი—სოხუმი და მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშაა ჩვენი პოზიციები ფრონტის წინა ხაზზე.

ქართული მიწა კიდევ ერთხელ მოიცვა ომის ცეცხლმა, იგი მძვინვარებს მთელი სისასტიკით—ინგრევა ქალაქები და სოფლები, მიწასთანაა გასწორებული მრავალი სახლი, ასე რუდუნებით, თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე რომ აშენებდა ქართველი კაცი, ყოველ დღეს მოაქვს უზღვავი მსხვერპლი—სახლებთან ერთად იღუპებიან მისი მცხოვრებნი—მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებმაც არ მიატოვეს მშობლიური ადგილები და გაქცევას სიკვდილი ამჯობინეს, საბრძოლო ოპერაციებში იღუპებიან მეომრები, ახალგაზრდა, ჯერაც ცხოვრებაუნახავი, მაგრამ მამულის სიყვარულით გაუმაძღარი ბიჭები. ყოველ დღეს ვარამი მოაქვს, უამრავი ოჯახი ითალხება, მრავლდება ძაძა და ცრემლი. ომმა შემოაბიჯა ყველგან—ქალაქში, ქუჩაში, სახლებში და მაინც—ჩვენ თითქოს დღემდე ვერ მივხვდით, რომ ეს ომია და თანაც ჩვენი ომი, ჩვენი, ქართველების გადასახდელი და უცილობლად მოსაგები. ალტერნატივა არ არსებობს. სხვას რომ არაფერს ნიშნავდეს, სოხუმისა და აფხაზეთის დაკარგვა საბოლოოდ მოსპობს მკვდრეთით აღმდგარი ერის ერობას, საბოლოოდ გაგვიცუდებს გათავისუფლების წადილს და ჯერაც აუხსნელი ბორკილების ქვეშ დაგვტოვებს. ტყუილად როდი ამბობენ ჩვენი პოლიტიკოსები, რომ დღეს სოხუმში წყდება საქართველოს ბედი. ეს არის ჩვენი განსაწმენდელი—იმაზე, თუ როგორ გავუძლებთ ჩვენს თავზე აქ დამტყდარ განსაცდელს, დამოკიდებულია მთელი ჩვენი მომავალი. ნუთუ შეიძლება არ გვესმოდეს ასე მარტივი რამ? მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ჩვენი უცნაური გარინდება რაღაცის მოლოდინში? თუ იმის იმედი გვაქვს, რომ ომს უჩვენოდაც მოიგებენ, ძალიან ვცდებით. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ერის გამთლიანებისა და ერთიან ორგანიზმად შეკვრის გარეშე არ შეიძლება გამარჯვება. და თუ გმირები ვიყავით სხვათა ომებში, ჩვენი ომი უნდა იქცეს ტიტანთა სარბიელად. აქ გმირობა ცოტაა—მკლავი ჩვენი უნდა იქცეს დევკაცის მკლავად, მგლის მუხლი უნდა გამოვისხათ და შევარდენის მზერა, რომ როგორმე იეძოსეული ტელი ჰკუვავდოთ, დავიცვათ ჩვენი წმიდათაწმიდა ქართული მიწა.

ააძ, გაიოვძვრეთ მტკიცედ მეძოგარსული ხაჟუკეიიდას, გადავიხედოთ ..კეიი ღობის გადაღმა, როგორც იმ ბიჭებმა გააკეთეს, დღეს რომ აფხაზეთის მიწაზე ლეჩხუმის ღირსებასაც იცავენ. ვაი, რომ ცოტანი არიან ისინი, სახთლით ნაძებნი და ძლივს თითებზე ჩამოსათვლელად ხაპოვხი. ისინი, ვისაც აჯობა თავსმოხვეულ ეჭვსა და იპოვა ადგილი, სადაც უნდა იდგარიყო, კობა ძკუბულიანი და კობა კახაიძე, რამაზ ბრეგვაძე და მისთანებიჩვენს გვერდით გაზრდილი ჯერაც ყმაწვილი ბიჭები, ახლა რომ ნამდვილი გმირებივით იბრძვიან სოხუმსა და ოჩამჩირეში, მერწმუნეთ, უფრო გულოვნად იომებენ, მათ გვერდით სხვა ლეჩხუმელებსაც რომ ხედავდნენ, თავიანთ ახლობლებსა და მეგობრებს, თანაკლასელებსა და თანასოფლელებს. ისინი მარტონი არიან და უამრავ კახელსა და მეგრელში, ქართლელსა და გურულში, იმერელსა და სვანში ეულად არა, მაგრამ ცოტა უხერხულად გრძნობენ თავს თავიანთი მარტოობის გამო. ნუ მივატოვებთ ამ ბიჭებს. განა შეიძლება, რომ მხარეს, რომელმაც თავისი სიწმინდითა და პატიოსნებით ბევრი ალაფრთოვანა, სამი თუ ოთხი მამულიშვილის მეტი არ აღეზარდა? დავტოვოთ ყველა ეჭვი და შიში და ვიფიქროთ და ვიბრძოლოთ იმისათვის, რაც „განსაცვიფრებლად არის მთავარი" —სამშობლოსათვის. და თუ ახლა ვერ ვხვდებით, ამას პირველ ტყვიას რომ გავისვრით მისი გულისათვის ან პირველ მშიერ ღამეს გავათევთ მტრის მოლოდინში, მაშინ მივხვდებით.

შეჭირვებული მამული გვიხმობს— არა ქუდზე კაცს, მადლობა ღმერთს, ჯერ ეს არ გვჭირდება, არამედ ყველაზე მამაცებსა და გულადებს. მაშ, დავამტკიცოთ, რომ ასეთები ვართ, ჩვენებურად, ლეჩხუმურად რომ ვთქვათ, ნუ გამოვიშლებით დანარჩენ საქართველოში, მით უფრო, რომ იქ, აფხაზეთში იღუპებიან აქედან გადასახლებული ძირძველი ლეჩხუმელები. დღეს ომში წასასვლელად მზად არიან სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი კომისარიატი ფრონტზე მიდის. ხვალ ჩვენ უნდა გავყვეთ მათ. სარდლობა სულ 50 კაცს ითხოვს ჯერჯერობით, ვნახოთ, გამოჩნდება თუ არა ეს 50 არ შევრცხვეთ კი, ლეჩხუმელებო!

ომი ითხოვს ჩვენგან ყველაფერს, მეომრებს, იარაღს, სისხლს, საკვებს, რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ—ნურავის ვთქმევინებთ, რომ სხვის ომში უკეთ ვიბრძვით. მივცეთ ფრონტს ყველაფერი, რის მიცემაც შეგვიძლია. ჩვენ შეიძლება მოგვშივდეს, მებრძოლებს კი არ უნდა შიოდეთ, მშიერი კაცი დიდხანს ვერ იომებს; მივცეთ სისხლი, ისინი ხომ მთელ სიცოცხლეს აძლევენ სამშობლოს; დავიხარჯოთ მამულის სიყვარულში და ღმერთი წყალობით გადმოხედავს მასაც და ჩვენც.

**ია ხმელიძე.**

## ნგრევა უფრო იოლია, ვიდრე შენება

რესპუბლიკაში შექმნილმა მძაფრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ და საწარმოთა მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურმა მდგომარეობამ კრიზისამდე მიიყვანა ქვეყანა.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საბაზრო ურთიერთობის და პოლიტიკური ქეხლა—შემოხლის ყველა ატრიბუტი, როგორიცაა საკუთრების ფორმების ძირეული შეცვლა, პრივატიზაცია, ზღვარსგადასული და ყოველგვარ კონტროლს მოკლებული ე. წ. ლიბერალური ფასები, კვების პროდუქტების უმკაცრესი დეფიციტი და სხვა მრავალი უბედურება, უაღრესად მძიმე, არასტაბილური პოლიტიკური ვითარების ფონზე, ერთბაშად დაატყდა თავს ჩვენს ხალხს, რომელიც ელემენტარულად არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მზად ასეთი უმძიმესი გამოცდისათვის.

იძულებით მოუმზადებლად და სტიქიურად გამოცხადდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომ მაღალხარისხოვანი და უხვი პროდუქციის ნაცვლად ცარიელი სათავსოები და დახლები შეგვრჩა ხელში.

მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გაჩაღდა კონკურენცია არა იმაზე, ვინ მეტ მოსავალს მოიყვანს, ვინ უფრო მაღალხარისხოვან პროდუქციას აწარმოებს და მიაწოდებს ბაზარს, არამედ იმაზე, ვინ უფრო მაღალ ფასებს დააწესებს ორჯერ უკვე გაყიდულ და მესამეჯერ კომერციულ ჯიხურებში მოხვედრილ პროდუქციაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და პრივატიზაციის განხორციელების ერთ-ერთ ლოხისძიებას შეადგენდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასება, რომელიც ჩატარდა რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის სექტემბრის დადგენილების საფუძველზე.

ჩვენს რაიონში ძირითადი ფონდების აფასება დროულად და ორგანიზებულად წარიმართა. ძირითადი ფონდების აფასება წარმოებდა მათი აღდგენითი ღირებულების ანუ საწარმოო—ტექნიკური პროდუქციის ბაზარზე ჩამოყალიბებული შესასყიდი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებაზე დახარჯული მატერიალური და შრომითი რესურსების გაძვირებიდან გამომდინარე. აფასების ობიექტებს წარმოადგენენ საწარმოების, ორგანიზაციების ექსპლოატაციაში ან თადარიგში არსებული ყველა ძირითადი საშუალება. აფასება ჩატარდა ძირითადი საშუალებების სრული და საყოველთაო ინვენტარიზაციის მეშვეობით. ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში შექმნილი იყო ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის და აფასების კომისიები.

რაიონში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი ფონდების აფასების მასალები უკვე წარედგინა მათივე სამინისტროებს, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## რაიონის ყველა პედაგოგს და მოსწავლეს

ახლა ზაფხულია და ჩვენ დროებით დავშორდით ერთმანეთს, ამიტომ იძულებული ვართ გაზეთით მოგაწვდინოთ ხმა.

სამშობლო გასაჭირშია და ეს ყველაზე უკეთ გესმით თქვენ, პედაგოგებს და ახალგაზრდობას, თქვენ, ვისაც არასოდეს შეგირცხვენიათ თავი მის წინაშე, მრავალგზის გაიღეთ თქვენი წვლილი ქვეყნისათვის. დღეს კიდევ ერთხელ ითხოვს ქვეყანა თქვენს დახმარებას—აფხაზეთში ომი უფრო გამძვინვარდა და ფრონტისთვისაც უფრო მეტია საჭირო. ვისაც რითი შეუძლია იმით უნდა დაეხმაროს ჩვენს მებრძოლებს. ვიცით, ახლა არავის არაფერი ჭარბობს, ზოგი შიმშილობის ზღვარზეც კია მისული, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ჩვენზე მეტად უჭირთ მეომარ ბიჭებს. ვისაც რა შეგიძლიათ—სიმინდისა თუ პურის ფქვილი, კონსერვი, ლობიო, შაქარი, ჩირი, სიგარეტი მოიტანეთ თქვენთვის და გადაეცით აფხაზეთში მებრძოლ ჩვენს ძმებისა და შვილებისათვის. ჩვენ გვწამს თქვენი მამულიშვილური შეგნებისა და გვჯერა, არაფერს დაიშურებთ გამარჯვებისათვის.

მაშ, ასე—თქვენს წვლილს ელოდებიან რაიონულ საკრებულოში, სადაც შეგროვილი პროდუქტი შეგიძლიათ მიიტანოთ როგორც კოლექტიურად, სკოლებმა თუ კლასებმა, ასევე ინდივიდუალურადაც. ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი მამულის წინამძღვარი ამ მძიმე ომში.

**რაიონის განათლების განყოფილება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგი — ფრონტს!

# სულსაც არ დაიშურებენ

აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების გააქტიურებამ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო და მათ შორის ჩვენი ლეჩხუმი. ადამიანები ამ ეკონომიკური გაჭირვების ჟამს იღებენ უკანასკნელ ლუკმას თვითონ და აფხაზეთში მებრძოლ მეომრებს უგზავნიან. მისაბაძია წიფერჩის საკრებულოს სოფლების მცხოვრებთა მოქმედება, რომლებმაც მხარი აუბეს მოწოდებას — ყველაფერი ფრონტისათვის და. უკვე მეორე დღეა აგროვებენ სასურსათო პროდუქტებს.

ბარდნალელმა **ოთარ ხაბულიანმა**, რომელსაც ოჯახში სტუმრად ხუთი ლტოლვილი ჰყავს, აფხაზეთში გასაგზავნად 7 კილოგრამი ლობიო მოიტანა. **როლანდ გელენიძემ**, რომლის შვილი ქართულ ჯარში მსახურობს, ომში გასაგზავნად 3 კილოგრამი ლობიო და 10 კილოგრამი სიმინდის ფქვილი გაიღო. 5 შვილის დედაა ქულბაქელი **სულიკო კოპალიანი**, რომელმაც 2 კილოგრამი ყველი და 10 კილოგრამი სიმინდის ფქვილი მოიტანა ოჯახიდან, ქულბაქელმა პენსიონერმა **კოლია ქაბუკიანმა** 3 კილოგრამი ყველი გამოგზავნა, ჩქუმელმა **ლუბა თუთისანმა** — 8 კილოგრამი ლობიო, ამ სოფლის მკვიდრმა **თამარ ბენდელიანმა** — 3 კილოგრამი ლობიო და 8 კილოგრამი სიმინდის ფქვილი, წიფერჩელმა **ავთანდილ მეიფარიანმა** — 2 კილოგრამი ყველი და 6 კილოგრამი სიმინდის ფქვილი, **უჩა ჩაკვეტაძემ** — 5 კილოგრამი ფქვილი და 3 კილოგრამი ლობიო.

წიფერჩის საკრებულოს გამგებელმა გ. ჩარკვიანმა გვაცნობა, რომ დღეისათვის სულ 320 კილოგრამი სიმინდის ფქვილი, 180 კილოგრამი ლობიო, 25 კილოგრამი ყველი შეგროვდა.

ფრონტისათვის სასურსათო პროდუქტების შეგროვება გრძელდება.

# ნგრევა უფრო იოლია, ვიდრე შენება

**(დასასრული)**

ფონდების აფასების მასალები — რაიონის სტატისტიკის განყოფილებას. რაიონის საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითადი ფონდების ღირებულება გადაფასებამდე შეადგენდა 12098 ათას მანეთს, აფასების შემდეგ მათმა ღირებულებამ შეადგინა 363 179 ათასი მანეთი. მათ შორის შენობები 193 779 ათასი მანეთის, ნაგებობები — 29696 ათასი მანეთის, მანქანები და დანადგარები 26.559 ათასი მანეთის, ინსტრუმენტები და სამეურნეო ინვენტარი — 2081 ათასი მანეთის, ტრანსპორტი — 1700 ათასი მანეთის, მრავალწლიანი ნარგავები — 2769,6 ათასი მანეთის და ა. შ.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დავალიანებები ტვიშის კოლმეურნეობაში 5 ათასი მანეთის, ორბელის კოლმეურნეობაში — 27,6 ათასი მანეთის, წიფერჩის კოლმეურნეობაში — 373,0 ათასი მანეთის, ალპანის კოლმეურნეობაში — 31 ათასი მანეთის, ლაჯანის კოლმეურნეობაში 4 ათასი მანეთის, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 13 ათასი მანეთის, სულ დავალიანებებმა შეადგინა 672 ათასი მანეთი.

მეურნეობების ბალანსზე რიცხული 2787 სული მსხვილფეხა პირუტყვი წონით 3580 ცენტნერი გაცემულია მოსახლეობაზე და არ მიმდინარეობს მუშაობა მათი თანხობრივად ამოღებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს დღეის მდგომარეობით აქვთ ბანკის სესხები 7122 ათასი მანეთი. აქედან ვადაგადაცილებული მოკლევადიანია 2369 ათასი მანეთის, ხოლო კრედიტორული დავალიანებები ერიცხებათ 1750 ათასი მანეთი.

სადღეისო გადაუდებელი ამოცანაა როგორც რაიონულმა, ისე ყოფილი კოლმეურნეობების ბაზაზე არჩეულმა სალიკვიდაციო კომისიებმა უზრუნველყონ ყოფილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძირითადი ფონდების პრივატიზაცია და შემოსული თანხებით დაფარონ ბანკის სესხები.

როგორც ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციამ გვიჩვენა, აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა რაიონის ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადმა საშუალებებმა. მთლიანად დაშლილია და გატაცებულია ლვირიშის, ჩხუტელის, ცაგერის, ლასურიაშის, წიფერჩის ყოფილი კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმების შენობები, ლვირიშის ღელის რესტორანი, დაწყებულია გატაცების პროცესი ოყურეშის სავაჭრო ცენტრისა და ცაგერის რესტორანში, ფასადის გარდა თითქმის არაფერი დარჩა წასაღები ქ. ცაგერის აბანოდან, ხოლო დღემდე არც ერთ დამნაშავე პიროვნებას არ უგია პასუხი.

ეს პროცესი ისე გაღრმავდა, რომ დაუყოვნებლივ თუ არ განხორციელდა გადამწყვეტი ღონისძიებები, ბოროტება და დანაშაული თუ დროზე არ აღიკვეთა შესაძლებელია მან ეპიდემიური ხასიათი მიიღოს და უმართავი გახდეს. ნგრევა ხომ უფრო იოლია, ვიდრე შენება.

**ნ. ნემსაძე.**

ჩვენთან პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ისე დაიძაბა, ომი ისე გამძვინვარდა [illegible] თითოეული ჩვენგანის [illegible] ლში, [illegible] მეზე ლაპარაკის უფლება არა გვაქვს, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ყველაფერზე თვალები დავხუჭოთ და ყურები დავიხშოთ. სინამდვილეს გვერდს ვერ ავუქცევთ. ის, რაც ომისაგან ხადგურდება, საკმარისზე

რეპლიკა

## იყო და... არა არის რა

მეტია ჩვენი მრავალტანჯული მიწისათვის, რომ მას არ დაემატოს ჩვენივე ხელით განადგურება დღემდე შექმნილ-აშენებულისა.

გაგონილი არ მჯეროდა, ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როცა „მწვანე თეატრი“ ვნახე. როგორ გაპარტახებული და განადგურებულია ეს ბუნებისაგან დაწნული და ადამიანის ხელით გაკოპწიავებული ადგილი.

ნამდვილად არ მჯეროდა, თუ ადამიანებს ამგვარი ბოროტების ჩადენა შეეძლოთ, „მწვანე თეატრი“ ხომ ლეჩხუმში კულტურული დასვენებისა და გართობის კერა იყო, იქ მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდებოდა, ახლა კი პირისაგან მიწისა აღგვილია იქაურობა. სადღაა ის კოპწია ოდები, რომლებიც ასე ამშვენებდნენ იქაურობას, ზოგი სახლის ნასაძირკვლარიც კი აღარ ჩანს, ისე, პირწმინდად „უსუფთავებიათ“ იქაურობა, სადღაა ლითონის ღობეები, ვიღაცას ხიდის მოაჯირისთვისაც კი აუგლეჯია რკინის ნაჭრები, ლოჟის თუნუქის სახურავსაც მისდგომიან, ორიოდე ფურცლის აღებაც მოუსწრიათ. ერთადერთი, სცენა დგას, მაგრამ ისე, ჩვენში რომ იტყვიან, სული უდგასო. მის ქვეშ პატარა მდინარე გადის და ისეა ამოვსებული ნარიყალათი, რომ თუ ხელი არ შეაშველა ვინმემ, მალე წყალი სცენას გადაუვლის.

იქნებ ზოგი მკითხველი გამინაწყენდეს, გასართობ ადგილებზე ლაპარაკის დროაო ახლა, მაგრამ ხომ დამთავრდება ეს უსამართლო ომი, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას? ალბათ ვეტყვით, რომ აქ იყო ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილი ლამაზი ადგილი „მწვანე თეატრი“. იყო და აღარ არის..

**მადონა ბერიძე.**

მეომარი

# ცხრა ლახვარი რომ დამეცეს...

ზაფხულია და უფრო მკვეთრად ჩანს ჩვენი უბედურებები, ქუჩაში ძაძებში გახვეული ქალები დააბიჯებენ — სამშობლოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაცემული ვაჟკაცების დედები, უდროოდ დაქვრივებული მეუღლეები, ვინ იცის რამდენ პატარას ერგო ობლობის მძიმე ხვედრი და ყველაფერი ამით მაინც არ დამთავრებულა, ჩვენი მიწის მთლიანობისათვის ბრძოლა ისევ გრძელდება, ისევ ისვრიან ბომბებს, საზარელი სანახავია დამწვარ-დანგრეული ულამაზესი ქალაქები და სოფლები და არავინ იცის, როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლობას.

უკვე ჩვენთანაც გამოჩნდნენ ყავარჯნიანი ახალგაზრდები. უთუოდ შენიშნავდით ახალგაზრდა ყავარჯნიან მეომარს, უკვე რამდენიმე კვირაა ჩვენს ქალაქში რომ იშუშებს ჭრილობებს. იგი წარმოშობით ლეჩხუმელია, ამჟამად კი სოხუმის მახლობელ სოფელ კელასურში მცხოვრები რობერტ შოთას ძე [illegible]ვანიძე, სამი შვილის მამა. მისი ნაწილი სოფელ შრომა-ტამიშის მიმართულებით იდგა და საბრძოლო პოზიციებს იცავდა ტანკში მყოფი ნაღმზე რომ აფეთქდა, ტანკში მსხდომი მისი თანამებრძოლები — სამტრედიელი ალეკო ლორია, სოხუმელი ჯოლოლავა დაიღუპნენ, თვითონ კი სახის არეში მძიმედ დაიჭრა, მიიღო სხეულის მარცხენა მხარისა და ორივე ფეხის დამწვრობა. ნახევარ საათში სოხუმის საავადმყოფოში საოპერაციო მაგიდაზე იყო და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, ამის შემდეგ თბილისში გადააფრინეს და რესპუბლიკურ საავადმყოფოში უმკურნალეს, აქედან დამწვრობის ცენტრში მოხვდა, მაგრამ დამწვრობა იმდენად მძიმე იყო, რომ უკეთესობას ვერ გრძნობდა. საეჭვო იყო ფეხების შენარჩუნება, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, მხსნელად ცაგერელი, ამჟამად თბილისში მცხოვრები ახლობელი ანზორ ლავითის ძე კოპალიანი მოევლინა, რომელმაც თურმანიძეების მალამოთი შვება აგრძნობინა, თანდათან მომჯობინდა და შეძლო ცაგერში დასთან, რეზო შკუბულიანის ოჯახში ჩამოეყვანათ, სადაც აგრძელებს მკურნალობას და ჯერჯერობით ყავარჯნების გარეშე ვერ მოძრაობს, — გამოჯანმრთელდები თუ არა, უკან უნდა დავბრუნდე, სოფელ შრომაში ბიჭები მელოდებიან, ვერ ვუღალატებ, ისევ საბრძოლო ოპერაციებში უნდა ჩავება, ასეთია ჩვენი წესიო, — თქვა ჩვენთან საუბარში დაჭრილმა მეომარმა, რომლის გადაწყვეტილებამ შეუძლებელია ლეჩხუმელი ადრე წასული პოეტის ლადო ასათიანის „სალაღობოს“ ეს ტრიქონები — ცხრა ლახვარი რომ დამეცეს ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მაინც გავიცინებ — არ მოგაგონოს.

რობერტი 27 მარტს დაიჭრა, იგი მოწმეა და მონაწილე იმ უდიდესი შეტევისა, რაც მტერმა 15—16 მარტს განახორციელა, — სოხუმში შემოიჭრა და თითქმის ქალაქის ნახევარი დაიკავა 5000 კაციანმა მტრის ჯარმა, რომლის უმრავლესობა არააფხაზი ეროვნების — რუსი და კაზაკი იყო. მოძალადეები მიწას კოცნიდნენ, ჩვენია სოხუმი, გველირსა, სოხუმი ჩავიბარეთო, გაიძახოდნენ, მაგრამ გააქტიურდნენ ჩვენები, მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად (127—130 მეომარი დავკარგეთ), მაგრამ მტერი ქალაქიდან გავდევნეთ. ამიტომ ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ ტექნიკამ უნდა მოიგოს თანამედროვე ომი, არა, ცოცხალი ძალის აქტიურობა რომ არა, ახლა სოხუმი მტრის ხელში იქნებოდა.

— მართალია, სოხუმს ყოველდღე ბომბავენ მტრის თვითმფრინავები, მაგრამ მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება, სამართლიანობამ უნდა აჯობოს უსამართლობას.

ღმერთმა გისმინოთ, რობერტ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, გამოჯანმრთელება და ომის მალე დამთავრება ვუსურვოთ მტრის ნაღმით დაჭრილ და ყავარჯნმომარჯვებულ მეომარს.

**ჯ. მანდარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ფრიად არს სამკალი...»

## ერთი ნათელი დღის რეპორტაჟი

ამბობენ, როგორი ორშაბათიც გაგითენდება, კვირაც ისეთი იქნებაო და ვისაც ორშაბათს ბედი გაუღიმებს, იმას ყისმათი არ მიატოვებსო. ის წვიმიანი და ცივი ორშაბათი ისე ქუფრად გათენდა, ალბათ ცოტა თუ ელოდა მისგან რაიმე სასიამოვნოს.

...28 ივნისი იდგა, პეტრე—პავლობის მარხვის შუაძალი. ცაგერს სტუმრობდა მამა პავლე, დეკანოზი, მეტეხის ტაძრის წინამძღვარი, საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე. ეს ლეჩხუმში მისიის ყოფნის ბოლო და, ბუნებრივია, ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. იმ დილით მამა პავლე ცაგერის კულტურის სახლში შეხვდა საზოგადოებას, შეხვედრის შემდეგ ნათლობა უნდა გამართულიყო (თუ კი არ იწვიმებს, მდინარეში მოვნათლავო მსურველებს,—მამა პავლემ), მანამ კი მოგზაურობა უნდა დაეწყო ღვთისმშობლის ხატს, რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა ილია II გამოუგზავნა ლეჩხუმს. ხატმა თითო კვირით უნდა დაივანოს ყოველი მართლმორწმუნე ლეჩხუმელის სახლში, ვისაც ამის სურვილი ექნება. ამგვარად წმინდა ქალწულის ხატმა უნდა შემოიაროს მთელი ლეჩხუმი, მშვიდობა და ღვთისყალობა შეიტანოს მასპინძელ სახლებში, საბოლოოდ კი ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში დაბრძანდეს.

ცილობა არ შექმნილა, რადგან პირველი მსურველი პატარა დათო ჩაკვეტაძე იყო, ბავშვს კი ყველამ დიდსულოვნად დაუთმო პირველობა. მანაც, გაბედნიერებულმა, მოწიწებით ჩაიკრა გულში დედაღვთისას ხატი.

წვიმს... მამა პავლეს მაინც ურჩევნია მდინარეში მონათლოს ხალხი, თუმცა ეკლესიაშიც შეიძლება ამის გაკეთება თავის შეუწუხებლად.

**ხმა ქუჩიდან:** სად მიდიხარ, ბავშვის ნათლობა არ გინახავს?

• • •

წვიმამ იმატა, ბევრი უკან ბრუნდება.

მამა პავლესთან ერთად „მწვანე თეატრისაკენ“ მიდიან ქრისტიანობასთან დაწინდვის მოსურნენი, მათი მშობლები, ნათესავები და ახლობლები. ისინიც, ვინც ნათლობის რიტუალზე დასწრებით ღვთის მადლის მიღებას იმედოვნებენ, ისინიც, ვისაც უბრალოდ აინტერესებს.

წვიმს მარტივით ცივად და ჭირვეულად. მთის პატარა მდინარე კი ღვთის მადლის მისაღებად ემზადება. ცაგერს არ უნახავს ამგვარი რამ. ჩვენ ვიცით, როგორ მონათლა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეში იუდეველები, გვსმენია, დღესასწაულებზე როგორ ნათლავს ჩვენი ეკლესია ხალხს მტკვარსა თუ არაგვში. მაგრამ ცაგერს ეს არ უნახავს. და ახლა ვემზადებით რაღაც არაჩვეულებრივის და ამაღელვებლის სანახავად.

დაიწყო...

მამა პავლე კითხულობს ლოცვებს, ინთება 18 სანთელი. 18 მოსანათლის შუბლს, სახესა და ხელებს ეცხება ღვთაებრივი მირონი, ჩნდება ახალი სახელები, ქრისტეს სამწყსოს ემატებიან ნინო და გიორგი, ლაზარე და საბა... და უკვე სველი, სიცივისაგან აძაგძაგებული ბავშვები რიგრიგობით ჩადიან ცივ მდინარეში გასანათლად. პირველი ყველაზე პაწაწა, ხუთი თვის თამარია, თავისი დიდი ცისფერი თვალები გაკვირვებით რომ მიუყრია ჭრელი ხალხისა და მისთვის უცხო გარემოსათვის. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“... სამჯერ წყალში ჩაყურყუმალავებული პატარა განათვლის მერელა წამოიტირებს, მალევე გაჩუმდება და სულ მთლად ტიტლიკანა, გახარებული დედის მკლავებს მიენდობა. აღარ ტირის თამრო, გაიტრუნა, ცივი მდინარიდან ამოსულს ალბათ თუ ესიამოვნა ტანს შემოხვეული ფუმფულა პირსახოცი.

ნათლობა გრძელდება. დიდები თითქოს უფრო გმირულად იტანენ ყინულივით ცივ წყალსა და წყალში ჩაყვინთვით გამოწვეულ მძიმე შეგრძნებებს, უფრო პატარები ჭირვეულობენ, უძალიანდებიან მამა პავლეს, წყლის ეშინიათ, მერე მალევე მშვიდდებიან. სცივათ, მაგრამ სახეზე ნათელი გადასდით. მარტო ბავშვებიც არ არიან. მოინათლა ნაცნობი მანდილოსანი თავის სამ შვილთან ერთად.

...და ეს ყველაფერი სულაც არ იყო სანახაობა. ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს ჩვენც რაღაც ღვთაებრივი პროცესის მონაწილენი ვიყავით, არაფერს ნიშნავდა არც წვიმა და სიცივე, არც ფეხზე დიდხანს დგომა (ნათლობის რიტუალი 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა), არ იყო ტვირთი, ეს სიხარული იყო. საბუთი?—რამდენიმემ იქვე გადაწყვიტა მონათლულიყო და აინთო ახალი სანთლები.

...იყო სულის ზეიმი და ღმერთი დაჰყურებდა იქაურობას. საბუთი? ჩემი მეზობლის პატარა ბავშვი ბორდიურიდან გადავარდა, ქვიან კბოდეზე ამოსულ ბუჩქზე დაეცა. იქედან ამოტაცებულს 3—ჯერ ჩავკითხე გაოცებით, ნუთუ არაფერი გტკენია—მეთქი? თვითონაც გაკვირვებული, ხატივით გოგო თითქოს დარცხვენილი, უარის ნიშნად აქნევდა თავს. ღმერთი უყურებდა—მეთქი იქაურობას. მერე ეს ბავშვი სხვებთან ერთად განიბანა ღვთის მადლცხებულ მდინარეში.

**ხმა მოსაუბრეთა ჯგუფიდან:** ეს რა ვნახეთ, ღმერთო!

• • •

გაწუწულები და გახარებულები ვბრუნდებით უკან—მოძღვარიც, მონათლულებიც და დამსწრენიც. თითქოს დაღლილებიც უნდა ვიყოთ, მაგრამ მამა პავლეს ნამარხულევი სახე დაღლას არ იტყობს. მაშ, შეგვიძლია თავს დასვენების უფლება არ მივცეთ.

...და გზას ვაგრძელებთ. გველოდებიან ე.წ. „იელოვას მოწმეთა“ მიმდევრები. მამა პავლემ მოისურვა ეს შეხვედრა. რატომ? ალბათ გახსოვთ სახარებისეული იგავი ერთი დაკარგული ცხვრის შესახებ!

მასპინძელი სტუმართმოყვრულად გვეპატიჟება შინ. შევდივართ იმისათვის, რომ მოვუსმინოთ და მოსმენილ ვიქნეთ.

...ათიოდე წუთის შემდეგ ჩემთვის უკვე ცხადია, რომ დამხვდურთა განწყობა არ გვაძლევს ურთიერთგაგების კი არა, მოსმენის საშუალებასაც. ამიტომ ვთხოვ გაითვალისწინონ ეს და ეცადონ ნათქვამის ობიექტურად აღქმას. ამაოდ. მთელი ხუთი საათი ისე გადის დავასა და კამათში, რომ აშკარად ვერ ვუგებთ ერთმანეთს, ვერ ვაფიქსირებთ შეხების წერტილებს, ერთი და იმავეს მრავალგზის ვუბრუნდებით, ჯგუფ—ჯგუფად ვსაუბრობთ, ორ—ორნი, სამ—სამნი, ერთმანეთს ვუხსნით და ვუმტკიცებთ ჩვენი შეხედულებების ჭეშმარიტებას. არ გამოდის კამათი. არც გამოვა, რადგან არ ცდილობენ მოსმენილის გაგებას. ყოველთვის ასეა, როცა იმაზე კი არ ფიქრობ, რასაც გეუბნებიან, არამედ გამუდმებით გინდა ამოხსნა, თუ რატომ გეუბნებიან ამას.

მომეწონა ოჯახის უფროსი, დროული, პატივსაცემი კაცი, თითქოს ჩემს გულში იჯდა, მეუბნება: ვიცი, შვილო, რატომ გაწუხებს ეს ყველაფერი—ერი, რომ ორად გაიხლიჩა, ესაა შენი ტკივილი. მართალი ბრძანდებით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბატონო გიგლა, ისედაც ძლიერ—დაყოფილი ვიყავით და მართლმადიდებლად, ქრისტიანებად და „იელოვას მოწმეებად“ დაყოფა ნამდვილად აღარ გვესაჭიროებოდა. მარტო დაყოფაზეც არაა საქმე: 3—ჯერ გავიგონე იმ დღეს—რატომ ლოცავსო ეკლესია საომრად მიმავალ ბიჭებს, ქრისტიანული რწმენა ხომ გვიკრძალავსო კაცის კვლას. თურმე მცნება „არა კაც ჰკლა“ ნიშნავს იმას, რომ შემოსეული მტერი არ უნდა მოიგერიო, სახლს თუ გიოხრებენ, თავდამსხმელს არ უნდა გაუმკლავდე, სახლი, ოჯახი, სამშობლო უნდა დაუტოვო და გადაიხვეწო. იქნებ ეს ხუმრობა გგონიათ? ნურას უკაცრავად—ჩემს შეკითხვაზე, მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, აფხაზეთში რომ ომი აგვიტეხეს—მეთქი, გოგონებმა გვიპასუხეს: ყველა ქართველს უნდა დაეტოვებინა იქაურობა და წამოსულიყო, არავინ არ უნდა მოეკლათო. კარგი, მაგრამ ხვალ აქაც რომ მოგვადგეს მოსისხლე მტერი, სადღა წავიდეთ, მთის გამოქვაბულებს შევეფაროთ და ჩვენი სარჩო—საბადებელი მომხდურს დავუტოვოთ? მოდი და ნუ იფიქრებ, რომ „იელოვას მოწმეთა“ ბოლოდროინდელ უეცარ გამრავლებაში მზაკვრული პოლიტიკის ხელი ურევია.

გვიან ღამ[illegible] „იელოველთა“ შეკრება. წამოვედით დაღლილნი, გაოგნებულნი და ამ დროს არ ვიცი, შეიძლება არც უნდა ვამბობდე ამას, მაგრამ მამა პავლემ, რომელსაც იმ საღამოს მრავალგზის დაჭირდა მოსაუბრეთათვის კორექტულობისაკენ მოწოდება, ჩემდა მოულოდნელად თქვა: რა კარგები არიან, როგორ მომწონს, რომ შეუპოვრად ეძებენ ღმერთს. ოდესმე მაინც მივლენო ჭეშმარიტებამდე.

ხმამაღლა არ მითქვამს. მაგრამ გამიჭირდა მამა პავლეს აღფრთოვანების გაზიარება. მე უფრო ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ ხალხმა ძიება დაამთავრა. ყოველ შემთხვევაში თვითონ ფიქრობენ, რომ უკვე „ჭეშმარიტებაში არიან“. ღმერთმა ქნას, რომ მამა პავლე მართალი აღმოჩნდეს.

სხვათაშორის, იმ დღეს მამა პავლემ სამჯერ გაგვიზიარა თავისი აღფრთოვანება ჩვენი მხარით, ჩვენი ხალხითა და განსაკუთრებით ახალგაზრდებით.! რაღაც წმინდა უბრალოებითა და ღვთის რწმენით აღსავსე ხალხი ყოფილხართ, სხვაგან ასეთები არ მინახავსო.

მოწეულია სამკალი, მომკელი კი ცოტაა. უფლის გზისთვის გამზადებულ ხალხს მოძღვარი სჭირდება. იქნებ დავუჯეროთ, მამა პავლეს და უფრო გულმხურვალედ ვევედროთ უფალს, მოგვივლინოს იგი.

ი. გურამიშვილი.

რედაქტორი                ნ. ნემსაძე.


### გილოცავთ

ირინე ჩაჩხიანს, გურამ ციხილაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, გამრავლდით და გაიხარეთ.
გია, გულადი ციხილაძეები, ბიქტორ გვიშიანი, შიო ბენიძე.

ლელა სვანიძეს, თემურ დავითულიანს
გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.
ეკა გვიშიანი, მარინე ახვლედიანი, მაია მეშველიანი, მარიკა ბასვიანი.

ირინე ჩაჩხიანს, გურამ ციხილაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, ულევი სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ.
რაიონული აფთიაქის თანამშრომლები.

თამრიკო, რამაზ სილაგაძეებს
გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.
რაინდი, რომან ჩხეტიანები, ჯონი სილაგაძე ოჯახებით.

ლელა სვანიძეს, თემურ დავითულიანს
გილოცავთ ბედნიერებას, მარად სხივოსანი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება.
გია კოპალიანი, თამაზ, რეზო ტვილდიანები, გია ლიპარტელიანი, ჟორა მეშველიანი, მიშა, ვახტანგ, სოსო, სპარტაკ, ზაურ კვირკაშვილები, ამირან სვანიძე.

## გილოცავთ

**ლენა შკუბულიანს**
გიცოლა, გილოცავთ დაბადების დღეს. სულ იხარეთ და იბედნიერეთ.
**შორენა და როსტომი.**

---

**დათო მუშკუდიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იცოცხლე დიდხანს.
**შორენა, როსტომი, გია.**

---

**მელანო ყურაშვილს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ მუდამ ბედნიერი.
**შორენა და როსტომი.**

---

**ვალერიან ივანეს ძე სილაგაძეს**
გილოცავთ დაბადების 80 წლისთავის შესრულებას.
**ჯემალ სილაგაძე, ჯუმბერ კვირკაშვილი ოჯახებით.**

---

**ალეკო, ხათუნა, მარო, ნიკოლოზ ფუტკარაძეებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაიზარდოს ბედნიერი ვაჟკაცი.
**კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს კოლექტივი.**

---

**მარინე ჩაჩხიანს**
გილოცავთ ირინეს ბედნიერებას. ღმერთმა უწინამძღვროს მის ახლადშექმნილ ოჯახს.
**ჩხუტელის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**ნათელა, ვიქტორ გვიშიანებს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო.
**გურამ, გია, გულადი ციხილაძეები, შიო გენიძე.**

---

**ლოლა, ვარლამ ასათიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.
**ალეკო, მაყვალა ჩიქოვანები.**

---

**ლოლა, ვარლამ ასათიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ქალიშვილი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.
**ლეილა, მედიკო ნემსწვერიძეები, თამარ, მაკა ქვარიანები, ნარგიზა, ნონა, ნინო ასათიანები, ციალა ონიანი, დომნა უგრეხელიძე, მანანა განძელაძე.**

---

**ვერიკო მეშველიანს, თემურ ლორთქიფანიძეს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**გურამ ნემსწვერიძე ოჯახით.**

---

**ვერიკო მეშველიანს, თემურ ლორთქიფანიძეს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.
**ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

**გოჩა ლიპარტელიანს**
გილოცავთ ძმის ბედნიერებას.
**ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

## ხსოვნა

### ჯაბული ვაჟას ძე კვენეტაძე

მალე ორი თვე შესრულდება, ასე ულმობლად, უეცრად რომ მიგვატოვე, ჯაბუ! თავზარი დაგვეცი შენი წასვლით. 5 ივლისს 38 წლისა უნდა გამხდარიყავი. ჯერ ახალგაზრდა იყავ, მთელი ცხოვრება წინ გველოდა ჩვენი ერთად. ნინიკო ჯერ მხოლოდ 3 წლისაა, მამის ალერსი და მზრუნველობა ახლა სჭირდება მას. შენ კი უწყალოდ მიგვატოვე, არ შეგებრალეთ ამ ცხოვრებასთან ჭიდილისათვის მარტო ქალები. რა ვუთხრა ნინოს, როცა გაიზრდება, როგორ გავაგებინო შენი ტრაგიკული ხვედრის მიზეზი? განა ერთი უბედურება არ გვეყოფოდა, რომ შენი თავიც წაგვართვი?

მაპატიე საყვედურები, ჩემო! აწ უკვე ველარაფერი შეცვლის შენს საბედისწერო ნაბიჯს, სამუდამოდ დახუჭე თვალი და წახვედი, ვინ იცის, სად. სულის სიმშვიდე დაეკარგე, ჯაბუ, ღმერთს შენი სულისათვის ვევედრები.

გვენატრები ჯაბუ.

**მეუღლე მანანა, შვილი ნინო.**

---

### მამუკა ზურაბის ძე ახვლედიანი



ახოვანი, ლამაზი და ამაყი ვაჟკაცური სულით დააბიჯებდი, ერთგული და მოსიყვარულე იყავ მეგობრებშიც, ოჯახშიც. შეუძლებელია შეგუება იმ უბედურებასთან, რომელიც შენი ტრაგიკული წასვლით დაგვატყდა თავს ოჯახის წევრებს. მას მერე თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია უბედურ მშობლებს და მწუხარებით წელში გატეხილ შენს ძმებს.

4 ივლისი შენი დაბადების დღეა, 23 წლისა გახდებოდი, მაგრამ... მარიობის თვეს, ვაჟკაცობით სცადე ბუნების მრისხანების დამარცხება, აბობოქრებულ რიონს შეეჭიდე და, ოცდამეესამე დღეს გველირსა შენი ტანჯული სხეულის დაბრუნება ოჯახში. წინ სტუდენტობის წლები გელოდა მამუკა, მაგრამ, ვაი, რომ ვერ მოესწარ სტუდენტური ცხოვრების ვერც ერთ დღეს. შენს ნივთებსა და ტანსაცმელს ვეფერებით, ბიჭო, მწუხარებით გათანგული შენიანები.

სანთელივით ნათელი ბიჭი იყავ და ნათელი გქონდეს სამუდამო სასუფეველში. გწამდეს, სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენს გვერდით იქნები და მუდამ ცრემლში დანამული ვარდები იხარებს შენს სიცოცხლემოწყურებულ გულზე.

**შენი ოჯახი.**

---

### გ[illegible] ძე ჭხვლედიანი

დღეს შენს ოჯახში დუმილია გამეფებული, ცრემლს დაუფარავს ყველაფერი. 4 ივლისს 54 წლის გახდებოდი, ჩემო საყვარელო მამიკო.

1992 წლის 11 აგვისტომ მოულოდნელი თავზარი დაგვცა, ვინ იფიქრებდა, რომ დღეს ჩვენს შორის აღარ იქნებოდი. როგორ დააკლდა შენს ოჯახს შენი სითბო, შენი ღიმილი.

გიგონებთ და ვერ შევრიგებივართ შენთან განშორებას, ძალიან გვიმძიმს უშენობა, რატომ გაგვწირა ბედმა ასე შენი ტრაგიკული დღუპვით. რა ნაღდი მეგობრობა იცოდი, სითბოს აფრქვევდა შენი ალალი სანდომიანი გული, დამთმობიც ისეთი იყავ, როგორც ნაღდ ვაჟკაცს ეკადრებოდა.

გვჯერა, შენი სიცოცხლის ფესვები იხარებენ, გამრავლდებიან, არ დაეცემა შენი ალალი შრომით შექმნილი ოჯახი, შენი ღირსეული და ერთგული მეუღლეა ამის თავმდები.

შვაპატიოს შენმა უმწიკვლო სულმა, ჩემო საამაყო, ვაჟკაცო მამა, თუ ისე ვერ ვთქვი, როგორც შენს ხსოვნას ეკადრებოდა. შენს საფლავს თავს ეტრიალებიან შენი შვილიშვილები, მუდამ სავსეა ცოცხალი ყვავილებით, არ გივიწყებთ, შენი ოჯახის წევრები, დედმამიშვილები, ახლობლები.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს, უკვდავებაში გადასულო ყველასათვის საყვარელო ვაჟკაცო კაცო.

**შენი ოჯახი.**

---

გურამ ჩარკვიანი, შოთა მეუღლე ჟენია, შვილები ლიპარტელიანი, მაიზერ, მურად, ტიტიკო კოპალიანები, თამაზ სილაგაძე, გოდერძი პოლეთიანი, ნუკრი, შალვა, რეზო სალინაძეები, ლეო, ლენა, სეით ყურაშვილები, თინა, ნორა ახვლედიანები, ჟუჟუნა ონიანი, მარიამ გამსახურდია, შურა ჩიქოვანი, გიული ხეცურიანი, სოსო, დოდო, თამაზ ჩაკვეტაძეები, სარდიონ ფუტკარაძე, კუსია, ემზარ მდივნები, ამირან, კარლო მუშკუდიანები, მერაბ ლაშნიანი, ნუნუ გაბუხადია, გელა ხვადაგიანი, ოთარ ხაბულიანი, სოსო კუხალაშვილი, პლატონ ირემაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ბაჩუკი, მზია, ძმა არტური, რძლები მადონა, გულო, ლეილა, იამზე, ელვარა, სიძე ბადრი კილაძე, შვილიშვილები ნათია, თეონა, ბესიკი, ძმისშვილები ხათუნა, დათო, ბიცოლები სონა, თათუშა, ბიძაშვილები შერაბი, ჯონი, განჩო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჯიმშერ კორფილეს ძე ყვირილიანი.**
დაკრძალვა 11 ივლისს, კვირას, ქ. ცაგერში.

---

ბორის ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ავთო ლიპარტელიანს დედის
**გოგუცას**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ბიჭიკო ყვირილიანს მამის
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ძმა ვიქტორი, რძალი თამარი, დები ჟუჟუნა, ეთერი ქეთო, დომნა, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან
**საშა აბელის ასული უგრეხელიძე—ხვადაგიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

---

ბიძინა პირველი, სერიოჟა ლურჯუმალიძე, მიშა ყურაშვილი, ვახტანგ ასათიანი, რუბენ გოგიძე, მალხაზ ლიპარტელიანი, დადაში, ზაზა, ჯონი დავითულიანები, როლანდ ავალიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**მამუკა შოთას ძე სალინაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაიკოოპერატივის სისტემის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჯიმშერ ყვირილიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ახმედ აკიბეროვი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

კუჭუ ზურაბიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

კომუნალური მეურნეობის, ტექბიუროს, სახლმმართველობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ყვირილიანს მამის
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

გუდუ ომანაძე, კოგა გენიძე თანაუგრძნობენ ჟენია, ბაჩუკი, მადონა, მზია, ბადრი ყვირილიანებს მეუღლისა და მამის
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ბაურ ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ულქსელების ცაგერის უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

არსენ ყურაშვილი ოჯახით იუწყება
**გალაქტიონ ვლადიმერის ძე გოგოხიძის**
გარდაცვალებას.

---

გელა, გია, გოგი მუშკუდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯიმშერ ყვირილიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რაინდი, რომან ჩხეტიანები, გელა კვენეტაძე, ჯონი სილაგაძე თანაუგრძნობენ მზია, მურთაზ სილაგაძეებს მამისა და სიმამრის
**ვაჟა გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.